



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49231803

თარიღი:29/06/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილის სერგო კირკიტაძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 ივნისის # ბ49.49231713 ბრძანების შესაბამისად, ვბრძანებ:

- 1. სერგო კირკიტაძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მივლინებული იქნეს ყვარლის მუნიციპალიტეტის სასტუმრო „ლოპოტა“-ში, 2023 წლის 5-7 ივლისს, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული ღონისძიებებზე: ადგილობრივი თვითმმართველობათა ფორუმის მესამე შეხვედრა და ანტიდისკრიმინაციული ეთიკისა და ქცევის კოდექსის მესამე შეხვედრა.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

